

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2025 წლის I კვარტლის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 4 025,7 ათ. ლარი, ნაშთი 2025 წლის 1 იანვრისათვის იყო 1 405,5 ათ. ლარი საიდანაც სამ თვეში გაიწერა 768,5 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის I კვარტლის გეგმამ შეადგინა 4 794,2 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2025 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 4 025,7 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 2 854,3 ათ. ლარი (71%), აქედან: ქონების გადასახადის გეგმა 11,0 ათ. ლარი - ფაქტი 17,5 ათ. ლარი (159%); დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა 2 392,8 ათ. ლარი - ფაქტი 2 106,9 ათ. ლარი (88%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 1 491,7 ათ. ლარი - ფაქტი 594,9 ათ. ლარი (40%); სხვა შემოსავლების გეგმამ შეადგინა 130,2 ათ. ლარი, ხოლო ფაქტიურად შემოვიდა 126,9 ათ. ლარი (97%), აქედან: პროცენტის გეგმა 60,0 ათ. ლარი - ფაქტი 15,7 ათ. ლარი (26%); რენტა გეგმა 32,0 ათ. ლარი - ფაქტი 82,4 ათ. ლარი (258%); სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 5,5 ათ. ლარს ფაქტი 1,3 ათ. ლარი (24%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 3,6 ათ. ლარი - ფაქტი 2,5 ათ. ლარი (69%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,2 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 6,4 ათ. ლარი - ფაქტი 6,4 ათ. ლარი (100%); ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე დაიგეგმა 22,7 ათ. ლარი, შემოვიდა 18,4 ათ. ლარი (81%); არაფინანსური აქტივების კლება პირველ კვარტალში არ დაგეგმილა - ფაქტიურად შემოვიდა 8.1 ათ. ლარი.

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 4 794,2 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 3 005,1 ათ. ლარი (63%) აქედან:

მმართველობა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 116,1 ათ. ლარი - ფაქტი 993,8 ათ. ლარი (89%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 310,3 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 291,3 ათ. ლარი (94%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 800,0 ათ. ლარი - ფაქტი 696,8 ათ. ლარი (87%); სარეზერვო ფონდის გეგმა 0,1 ათ. ლარი; ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,7 ათ. ლარი - ფაქტი 5.6 ათ. ლარი (98%).

ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა 2 505,6 ათ. ლარი - ფაქტი 1 127,2 ათ. ლარი (45%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 805,6 ათ. ლარი - ფაქტი 36,8 ათ. ლარი (5%);
- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 135,0 ათ. ლარი - ფაქტი 114,9 ათ. ლარი (85%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია გეგმა 104,3 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის დაფინანსება 60,3 ათ. ლარი - ფაქტი 54,5 ათ. ლარი (90%);
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 18,0 ათ. ლარი - ფაქტი 8,4 ათ. ლარი (47%);
- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 68,5 ათ. ლარი - ფაქტი 68,1 ათ. ლარი (99%);
- კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში 70,9 ათ. ლარი - ფაქტი 1,2 ათ. ლარი (2%);
- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 39,0 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 171,2 ათ. ლარი - ფაქტი 111,3 ათ. ლარი (65%);
- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის გეგმა 325,6 ათ. ლარი - ფაქტი 175,0 ათ. ლარი (54%);
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გეგმა 190,0 ათ. ლარი - ფაქტი 171,2 ათ. ლარი (90%);
- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გეგმა 255,3 ათ. ლარი - ფაქტი 136,2 ათ. ლარი (53%);
- მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების გეგმა 262,1 ათ.ლარი - ფაქტი 249,6 ათ.ლარი (95%);
- დასუფთავება და გარემოს დაცვის - გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 218,3 ათ. ლარს, ფაქტი 212,0 ათ. ლარი (97%). აქედან:
 - დასუფთავება და ნარჩენების გატანა გეგმა 184,0 ათ. ლარი - ფაქტი 180,6 ათ. ლარი (98%);
 - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურისათვის გამოყოფილი სუბსიდის გეგმა 34,3 ათ. ლარი, ფაქტი 31,4 ათ. ლარი (92%);
 - უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები პირველ კვარტალში არ არის დაგეგმილი;
 - განათლების ღონისძიებების დაფინანსების - გეგმა 275,7 ათ.ლარი - ფაქტი 205,3 ათ.ლარი (74%);
 - სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 195,0 ათ. ლარი - ფაქტი 142,9 ათ. ლარი (73%);
 - სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის გეგმა 13,0 ათ. ლარი - ფაქტი 4,0 ათ. ლარი (31%);
 - განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობის გეგმა 8,4 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;
 - საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა გეგმა 59,3 ათ. ლარი - ფაქტი 58,4 ათ. ლარი (98%);
 - წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემის ღონისძიებები პირველ კვარტალში არ დაგეგმილა და ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;
 - კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 559,7 ათ. ლარი - ფაქტი 383,6 ათ. ლარი (69%). აქედან:
 - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი გეგმა 55,0 ათ. ლარი - ფაქტი 49,2 ათ. ლარი (89%);
 - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონის გეგმა 35,0 ათ. ლარი - ფაქტი 32,9 ათ. ლარი (94%);
 - რაგბის ჯგუფის დაფინანსებისათვის გამოყოფილი სუბსიდიის გეგმა 15,0 ათ.ლარი, - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;
 - წარმატებული სპორტსმენების დახმარების გეგმა 3,0 ათ.ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;
 - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საჭიდაო სკოლის გეგმა 48,0 ათ. ლარი - ფაქტი 47,9 ათ., ლარი (100%);
 - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გეგმა 26,3 ათ. ლარი - ფაქტი 23,6 ათ. ლარი (90%);
 - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა გეგმა 22,0 ათ. ლარი - ფაქტი 19,7 ათ. ლარი (90%);
 - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 153,3 ათ. ლარი - ფაქტი 103,0 ათ. ლარი (67%);
 - მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება გეგმა 27,3 ათ. ლარი - ფაქტი 23,3 ათ. ლარი (85%);

- ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 38,3 ათ. ლარი - ფაქტი 32,0 ათ. ლარი (84%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსება გეგმა 20,5 ათ. ლარი - ფაქტი 17,5 ათ. ლარი (85%);
- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გეგმა 15,8 ათ. ლარი, ფაქტი 9,9 ათ. ლარი (63%);
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის გეგმა 2,4 ათ. ლარი ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;
- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსების გეგმა 26,8 ათ. ლარი - ფაქტი 19,5 ათ. ლარი (73%);
- ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა გეგმა 7,0 ათ. ლარი - ფაქტი 4,9 ათ. ლარი (70%);

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 118,9 ათ. ლარი - ფაქტი 83,3 ათ. ლარი (70%). აქედან:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გეგმა 42,6 ათ. ლარი - ფაქტი 29,2 ათ. ლარი (69%);
- სოციალური უზრუნველყოფა გეგმა 76,4 ათ. ლარი - ფაქტი 54,2 ათ. ლარი (71%). აქედან:
- ავადმყოფთა სოციალური დაცვა გეგმა 29,0 ათ. ლარი - ფაქტი 27,8 ათ. ლარი (96%).
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა გეგმა 8,0 ათ. ლარი - ფაქტი 7,9 ათ. ლარი (99%).
- სოციალურად დაუცველი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა, ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებული დახმარების გეგმა 22,0 ათ. ლარი - ფაქტი 15,9 ათ. ლარი (72%).
- ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯის გეგმა 0,3 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა.
- სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დახმარების გეგმა 10,0 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა.
- 8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარების გეგმა 1,5 ათ. ლარი - ფაქტი 0,2 ათ. ლარი (13%).
- სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების გეგმა 1,2 ათ. ლარი - ფაქტი 0,4 ათ. ლარი (33%).
- ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯის გეგმა 1,9 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა.
- ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის გეგმა 2,5 ათ. ლარი - ფაქტი 2,0 ათ. ლარი (80%).

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე პერიოდში გაიხარჯა ქ. ონში დ. აღმაშენებლის შესახვევი N10-ში მდებარე საჭიდაო დარბაზის შენობის ბუნებრივი აირის მომხმარებლის ქსელის მოწყობის მომსახურებისთვის 13,2 ათ. ლარი; ქ. ონში ბეერშევას პარკში არსებული ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსში გამათბობელი სისტემის შეძენა-მონტაჟისთვის 24,3 ათ. ლარი. საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.04.2025წ.) ნაშთი შეადგენდა 1 254,7 ათ. ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 948,8 ათ. ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან 305,9 ათ. ლარს.

შემსრულებელი:

თ. 

თინათინ ბროლაშვილი

ნ. 

ნინო მეტრეველი